ᲛᲨᲠᲝᲚᲗᲐᲠᲘᲐᲜᲗᲐ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲣᲠᲗᲓᲘᲗ

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲡᲐᲯ. Კ. Კ (Ბ) ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ, ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ
ᲓᲐ ᲡᲐᲯ. ᲡᲡᲠ ᲛᲬᲠᲐᲛᲔᲗᲗᲐ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ᲨᲐᲑᲐᲗᲘ
1 ᲛᲐᲠᲢᲘ
1941 წ.
№ 51 (6056)
ᲤᲐᲡᲘ 10 ᲙᲐᲞ.

ᲓᲦᲔᲡ ᲒᲐᲖᲔᲗᲨᲘ.

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘᲡᲗᲐᲜᲐᲛᲓᲔᲑᲝᲚᲗᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲯ. Კ. Კ. (Ბ) ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ — ᲙᲝᲯᲘ ᲡᲐᲑᲘᲭᲘᲡ ᲜᲐᲗᲔᲡᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲤᲐᲠᲗᲝᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲡᲐᲕᲚᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲓᲘᲓᲔᲑᲘᲡ ᲦᲝᲜᲘᲡᲫᲘᲔᲑᲐᲗᲐ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ (1-ᲚᲘ ᲒᲒ.).

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲛᲝᲬᲕᲔᲕᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ VIII ᲡᲔᲡᲘᲐ: ᲔᲠᲝᲕᲜᲔᲑᲐᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ, ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ, (1-ᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲔ-2 ᲒᲒ.)

ᲡᲐᲯ. ᲡᲡᲠ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲡᲔᲡᲘᲐ (ᲛᲔ-2 ᲒᲒ.)

ᲮᲐᲚᲮᲗᲐ ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲣᲠᲘ ᲛᲔᲓᲐᲚᲘᲝᲡᲐᲜᲗᲐᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲯᲘᲠᲝᲕᲜᲘᲡ ᲓᲦᲔᲡ ᲓᲐᲓᲒᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ: **ᲘᲠᲐᲚᲘ ᲐᲑᲐᲨᲘᲫᲔ** — ᲛᲔᲠᲘᲜᲓᲘᲡ ᲓᲐᲡᲢᲣᲠᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲞᲘᲠᲔ; **ᲞᲔᲢᲠᲐᲡ ᲒᲘᲠᲩᲐ** — ᲛᲝᲜᲐᲞᲘᲠᲔ (ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘ); **ᲜᲘᲙᲝᲚᲐᲡ ᲑᲐᲠᲐᲗᲐᲨᲕᲘᲚᲘ** — ᲡᲢᲐᲚᲘᲜ (ᲚᲔᲥᲪᲘᲐ); **ᲜᲘᲜᲝᲩᲙᲐ ᲒᲝᲒᲘᲩᲐᲫᲔ** — ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ (ᲚᲔᲥᲪᲘᲐ); **ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖ ᲢᲘᲮᲝᲜᲝᲕᲘ** — ᲙᲐᲠᲒᲝᲕᲘᲡ (ᲚᲔᲥᲪᲘᲐ); **ᲡᲐᲛᲔᲓ ᲕᲔᲠᲒᲐᲖᲘᲜᲘ** — ᲓᲐᲕᲘᲗᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲐᲠᲘ (ᲚᲔᲥᲪᲘᲐ) — (ᲛᲔ-3 ᲒᲒ.).

ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘᲗ:
ᲝᲛᲘ ᲔᲕᲠᲝᲞᲐᲨᲘ ᲓᲐ ᲐᲤᲠᲘᲙᲐᲨᲘ (ᲛᲔ-4 ᲒᲒ.)
ᲘᲜᲓᲝᲩᲘᲜ-ᲩᲘᲜᲔᲗᲘᲡ ᲨᲔᲗᲐᲜᲮᲛᲔᲑᲐ ᲒᲐᲜᲔᲗᲔᲠᲘᲡ ᲙᲐᲘᲗᲮᲖᲔ (ᲛᲔ-4 ᲒᲒ.).

F 75 N 366

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘᲡᲗᲐᲜᲐᲛᲓᲔᲑᲝᲚᲗᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲯ. Კ. Კ. (Ბ) ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ

ᲙᲝᲯ-ᲡᲐᲑᲘᲭᲘᲡ ᲜᲐᲗᲔᲡᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲤᲐᲠᲗᲝᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲡᲐᲕᲚᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲓᲘᲓᲔᲑᲘᲡ ᲦᲝᲜᲘᲡᲫᲘᲔᲑᲐᲗᲐ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘᲡᲗᲐᲜᲐᲛᲓᲔᲑᲝᲚᲗᲐ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲐᲕᲡ, ᲠᲝᲛ ᲛᲝᲣᲚᲘ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲘᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲙᲝᲯ-ᲡᲐᲑᲘᲭᲘᲡ ᲜᲐᲗᲔᲡᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲤᲐᲠᲗᲝᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲤᲐᲠᲗᲝᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲓᲦᲔᲡ ᲓᲐᲓᲒᲔᲑᲘᲚᲘᲐ ᲠᲝᲛ ᲐᲛ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐᲖᲔ ᲛᲣᲨᲐᲝᲓᲐ ᲙᲝᲯ-ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲚᲕᲘᲗ ᲓᲐ ᲠᲝᲛ ᲐᲛ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ

სსრ კავშირის პირველი მოწვევის უმაღლესი საბჭოს VIII სესია

ეროვნებათა საბჭოში

(დასასრული)

ფინეთის რესპუბლიკის სწრაფ წარმატებებზე. ასევე ულოცავ ფინეთის რესპუბლიკის ბიუჯეტი 53 პროცენტით დიდდება. უდიდესი სახსრები ხმარდება კარელია-ფინეთის სს რესპუბლიკის მრეწველობისა და სატყეო მეურნეობის განვითარებას. დასახულია ახალი სკოლების, საავადმყოფოების, საბავშვო ბაღების, თეატრებისა და კლუბების შენებლობის დიდი პროგრამა. ახალგაზრდა რესპუბლიკა დიდ ნაბიჯს ხდგამს წინ სახალხო მეურნეობისა და კულტურის შემდგომი აყვავების გზაზე.

—სესიისათვის მთავრობის მიერ წარმოდგენილი სსრ კავშირის 1941 წლის ბიუჯეტი, — ამბობს დეპუტატი **ა. გელდფაინი**, — წარმოადგენს საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის, მისი ეკონომიური და სამხედრო ძალიერების განუხრელი აღმავლობის ბრწყინვალე დოკუმენტს.

დიდია თურქმენეთის კოლმეურნეთა შემოქმედებითი ინიციატივა. გასულ წელს ტაშკენტს ოქლის 20 ათასამდე კოლმეურნეს საკოლმეურნეო მინდვრების მოსარწყავად 34 დღის განმავლობაში 23 კილომეტრი სიგრძის არხი გაიყვანა. რესპუბლიკაში ბამბაგურბულია ერთ-ერთი უდიდესი—160 მილიონ კუბტერი მეტრი ტეკედობის წყალსაცავის შენებლობა. ფართო ფრონტით არის გაშლილი სხვა წყალსაცავების შენებლობა.

— 1941 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი, — ამბობს დეპუტატი **ს. გ. ხოშტარია**, — უზრუნველჰყოფს 16-ჯე მოკავშირე საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მეურნეობის აღმავლობას და კულტურის აყვავებას, ამ ბიუჯეტში თავის მკაფიო გამოხატულებას პოულობს ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკა, რომელიც მომრთულია თვალუწვდენი საბჭოთა კავშირის ყველა ხალხთა სახალხო მეურნეობის, კულტურისა და ხელოვნების განვითარებისაკენ.

ორატორმ, მოჰყავს ფაქტები, რომლებიც მოწმობენ საბჭოთა საქართველოს სწრაფ ზრდას. მსგავსი მრეწველობის საერთო პროდუქცია, 1913 წელთან შედარებით, გასულ წელს 26-ჯერ და უფრო მეტად გაიზარდა. ძირითად გარდაიქმნა საქართველოს, სოფელი. კოლმეურნეობანი და საბჭოთა მეურნეობანი ინვითარებენ ძვირფას, სუბტროპიკულ და სპეციალურ ტექნიკურ კულტურებს. **საქართველო წარა-კოთხეს** მთლიანი მცოდნეობის ქვეყნად გადაიქცა. ქართული საბჭოთა მეცნიერების სიმწიფეს მოწმობს ის ფაქტი, რომ წელს შეიქმნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემია.

დეპუტატი **ა. ტ. ვენსლოვა** ლაპარაკობს კულტურისა და ხელოვნების აღმავლობაზე ახალგაზრდა საბჭოთა ლიტვაში.

ბურჟუაზიულ ლიტვაში განათლება კაპიტალისტების, მემამულეებისა და კულაკობის პრივილეგიას შეადგენდა. სახალხო განათლების დარგში ბურჟუაზიული ძმათა-მრობის პოლიტიკას განსაზღვრავდა დაფუძნერელი კანონი: „განათლების სარგებლობა საეკლესიო, ზნანი კი ამკრძალა". უმაღლეს განათლებაზე რომ ალარაფერი ვთქვათ, მშრომელთა შვილებს შესაძლებლობა არა ჰქონდათ მიეღოთ თუნდაც საშუალო, ხოლო ზშირად დაწყებითი განათლებაც კი.

საბჭოთა ხელისუფლებამ დამყარების შედეგად ლიტვის მშრომელთა ცხოვრებაში უდიდესი ცვლილებები მოხდა, პირველსავე თვეებში საშუალო სკოლების მოსწავლეთა რიცხვი გადიდდა 14 ათასი კაცით, უმაღლეს სასწავლებელთა სტუდენტების რაოდენობა გაიზარდა 100 პროცენტით. საბჭოთა ხელისუფლებამ ხალხი ეოდნის უდიდესი წყურვილი აღძრა. 40 ათასზე მეტი მოზრდილი ამეადად სწავლობს სხვადასხვა სკოლაში. შექმნილია თეატრები, კლუბები, ჯოხ-საქითხელები, დაარსებულია ლიტვის სს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემია. წელს, 1939 წელთან შედარებით, ერთიორად და უფრო მეტად დიდდება სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათათვის, განათვნილი ასიგნებანი. დიდი მეშობა ჩატარდება ჯანმრთელობის დაცვის გაუმჯობესების დარგში.

მკაფიო ციფრები ასურათებს დეპუტატი **ფ. ისკანდარიოვი** ტაჯიკეთის სს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობისა და კულტურის აყვავებას. განსაკუთრებით დიდია წარმატებანი სოფლის მეურნეობის დარგში. რესპუბლიკის მინდვრებზე მუშაობს 51 მანქანა-ტრაქტორი სადგური. 1940 წელს სახელმწიფოსათვის ბამბის ჩაბარების გეგმა შესრულებულია 104 პროცენტით და უფრო მეტად.

— ესტონეთის სს რესპუბლიკის პირველი **სოციალისტური** ბიუჯეტი, — ამბობს **დეპუტატი ნ. გ. ანდრეზენი**, — სავსებით შეესაბამება ბურჟუაზიის ულალეასან განთავისუფლებული ესტონელი ზალის ინტერესებს.

მიწის რეფორმის შედეგად რესპუბლიკის 24 ათასამდე უმიწო და 26 ათასზე მეტმა მცირემიწიანმა გლეხურმა მეურნეობამ მიწა მიიღო, მტს-ების შექმნა და სხვა მოკავშირე რესპუბლიკებიდან მინერალური სასუქების შემოტანა შესაძლებლობას გვაძლევს წელს დავთესოთ სულ ეგზ 1.034 ათასი ჰექტარი. ის სახსრები, რაც სახელმწიფო ბიუჯეტით მრეწველობას ხმარდება, უზრუნველჰყოფენ მის სწრაფ აღმავლობას.

ესტონელი ხალხის ახალ ცხოვრებას ნათლად ახასიათებენ სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათათვის განკუთვნილი ასიგნებანი. რესპუბლიკაში განათლების, მეცნიერებისა და ხელოვნების აყვავება მტკიცედ არის უზრუნველყოფილი სახელმწიფო ბიუჯეტით.

— ესტონეთის სს რესპუბლიკის მშრომელთა წინაშე, — აცხადებს დეპუტატი ანდრეზენი, — საპატიო ამოცანა დგას — უმოკლეს ხანში ჩაგდეს საბჭოთა კავშირის მოწინავე რესპუბლიკათა რიგებში და თავისი ნაკლული შეტანოს ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ეკონომიური და თავდაცვითი ძალიერების განმტკიცების საქმეში.

დეპუტატი **რ. კ. იბრაჰიმოვი**, იწონებს რა სესიაზე დასაძტკიცებელად წარმოდგენილ სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტს, გაშლილია სს რესპუბლიკის მაგალითად აუბეკეს ადგილობრივ ბიუჯეტთან დაკავშირებულ ზოგიერთ საკითხს.

ამით მთავრდება ეროვნებათა საბჭოს სხდომა. შემდეგი სხდომა შესდგება 28 თებერვალს, საღამოს, 6 საათზე. (საკდესი).

კავშირის საბჭოში

27 თებერვალს, საღამოს 6 საათზე, გაიხსნა კავშირის საბჭოს მესამე სხდომა. თავმჯდომარის მაგიდას უსხედან: კავშირის საბჭოს თავმჯდომარე, დეპუტატი **ა. ა. ანდრეევი**, კავშირის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები—დეპუტატები — **ტ. დ. ლისენკო** და **უ. იუსუპოვი**. ლოჟებში სხედან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრები და მთავრობის წევრები.

გრძელდება სსრ კავშირის 1941 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კათეთელი მოხსენებისა და კავშირის საბჭოს, სბიუჯეტო კომისიის თანამოხსენების განხილვა.

სხდომის თავმჯდომარე დეპუტატი ტ. დ. ლისენკო სიტყვას აძლევს დეპუტატ **ტ. კულატოვს**.

— სოციალიზმის ქვეყნის ბიუჯეტი, — ამბობს, დეპუტატი კულატოვი, — სარკესავით ასახავს საბჭოთა ხალხის მსოფლიო-ისტორიულ გამარჯვებებს. მშრომელთა ინტერესებს სავსებით შეესაბამება მთავრობის წინადადება ასიგნებულ იქნას 70.900 მილიონი მანეთი ჩვენი ქვეყნის თავდაცვის საჭირბოროტოსათვის, წითელი არმიისა და საბჭოთა-საზღვაო ფლოტის საბრძოლო ძლიერების შემდგომი განმტკიცებისათვის.

სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტთან ერთად იზრდება მოკავშირე რესპუბლიკათა ბიუჯეტები. მაგალითად, 1925-26 წელს ყირგიზეთის ბიუჯეტი შეადგენდა 5,5 მილიონ მანეთს, 1941 წლისათვის კი გათვალისწინებულია 481.115 ათასი მანეთის, ოდენობით. მარტო სახალხო განათლებისათვის 1941 წელს ასიგნებულია 179.081 ათასი მანეთი.

შემდეგ გამოდის დეპუტატი **მ. ა. ვედენეევი**.

— სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს VII სესიაზე ლიტვის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა მიღებულ იქნა საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში. მას შემდეგ სულ 7 თვე გავიდა, მაგრამ რა გიგანტური ცვლილებანი მოხდა ლიტველი ხალხის ცხოვრებაში! შექმნილია საბჭოთა ხელისუფლების სახელმწიფო აპარატი. გლეხებმა მიწა მიიღეს. აღდგენილია ათობით ქარხანა და ფაბრიკა. 40 ათასზე მეტმა უმუშევარმა საქმეთ მიიღო. რესპუბლიკა მოიფინა ახალი სკოლების, სახალხო უნივერსიტეტებისა და ზოგადსაგანმანათლებელო კურსების ფართო ქსელით. განათლების უფლება ხალხის კუთვნილება გახდა.

დეპუტატი ედეველსონი ჩამოსთვლის ლიტვის სს რესპუბლიკის 1941 წლის სახელმწიფო და კულტურული მშენებლობის ნაშენელოვანეს ობიექტებს. იგი ასახელებს საწარმოებს, კულტურულ და სამკურნალო დაწესებულებებს, მოპოვებს წარმოების გათვალისწინებული გადიდების ციფრებსა. ასეთი ციფრები ბურჟუაზიულ-მემამულეურ ლიტვას არ უნახავს და არც შეეძლო ენახა! სმატონელთა ზრდამ ლიტვის ახალხო მეურნეობა სრულ განადგურებამდე მიიყვანა. ამჟამად ცხოვრების ბატონ-პატრონი გახდა ხალხი—მუშები, გლეხები, ინტელიგენცია, და მათ ნამდვილი პატრონის ბრძოლველობთა და ენერგიით მიჰყავთ წინ ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკის ეკონომიკა და კულტურა. 1941 წელ ლიტვის ბიუჯეტი, 1939 წელთან შედარებით, 3,5-ჯერ იზრდება. ლიტვის სს რესპუბლიკის ბიუჯეტის ყველა ხარჯის ნახევარზე მეტი სოციალურ - კულტურულ ღონისძიებათა დაფინანსებას მოხმარდება.

დეპუტატი გედვილსონ საფსენი იწონებს სსრ კავშირის მთავრობის მიერ წარმოდგენილ ბიუჯეტს და აღნიშნავს, რომ ბიუჯეტის ყოველ მოხლში სჩანს საბჭოთა ხალხის ბერძული შრომის შედეგები, ბოლშევიკური პარტიის, საბჭოთა მთავრობისა და პირადად ამხანაგ სტალინის, დაუცხრომელი მზრუნველობა სოციალისტური სამშობლოს შემდგომი აყვავებისათვის.

დეპუტატი **ს. ი. მალოვი** ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საბჭოთა ბიუჯეტი აგებულია მზარდი და ყოველმხრივ აღმამავალი სოციალისტური მეურნეობის მტკიცე საფუძველზე. იგი ემსახურება ერთ მიზანს—ჩვენი ქვეყნის საშრომო ძალების განვითარებას, მისი ეკონომიკისა და კულტურის განვითარებას. სოციალურ-კულტურულ ღონისძიებებისათვის 47 მილიარდზე მეტი მანეთის ასიგნება ამის თვალსაჩინო საბუთია. ასეთი ზრდა შესაძლებელია მხოლოდ სოციალიზმის ქვეყანაში!

სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარი ამხ. **გ. ა. მიტერევი** სესიას აუწყებს ჯანმრთელობის დაცვის დარგში 1941 წლისათვის დასახულ ღონისძიებებს.

—1941 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი, — აღნიშნავს იგი,—ასახავს პარტიისა და მთავრობის სტალინურ მშრუნველობას მშრომელთა ჯანმრთელობის, დაცვისათვის.

იმ ღონისძიებათა შედეგად, რომლებსაც საბჭოთა მთავრობა ატარებს, წლითი-წლობით მცირდება დაავადება, იზრდება მოსახლეობის მატება, უმაღობესდება ხალხის ფიზიკური განვითარება. 1941 წელს გათვალისწინებულია შემდეგი: 1941 წელს ადამიანთ მოსახლეობა 5,5 მილიონ მანეთის ოდენობით, 1941 წლისათვის კი გათვალისწინებულია 481.115 ათასი მანეთის, ოდენობით. მარტო სახალხო განათლებისათვის 1941 წელს ასიგნებულია 179.081 ათასი მანეთი.

შემდეგ გამოდის დეპუტატი **მ. ა. ვედენეევი**.

— სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს VII სესიაზე ლიტვის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა მიღებულ იქნა საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში. მას შემდეგ სულ 7 თვე გავიდა, მაგრამ რა გიგანტური ცვლილებანი მოხდა ლიტველი ხალხის ცხოვრებაში! შექმნილია საბჭოთა ხელისუფლების სახელმწიფო აპარატი. გლეხებმა მიწა მიიღეს. აღდგენილია ათობით ქარხანა და ფაბრიკა. 40 ათასზე მეტმა უმუშევარმა საქმეთ მიიღო. რესპუბლიკა მოიფინა ახალი სკოლების, სახალხო უნივერსიტეტებისა და ზოგადსაგანმანათლებელო კურსების ფართო ქსელით. განათლების უფლება ხალხის კუთვნილება გახდა.

ეროვნებათა საბჭოს ჩამოყალიბდა ლიტვის სს რესპუბლიკის 1941 წლის სახელმწიფო და კულტურული მშენებლობის ნაშენელოვანეს ობიექტებს. ეს ობიექტები ... ...

ხალხთა სტალინური მეგობრობა ცოცხლობს და დღეგრძელობს

მ. ზოშჩენკო

ს. ვურგუნი

ბილოცავთ დიდ საყოველთაო-სახალხო დღესასწაულს

ძვირფასო ამხანაგებო! სსრ კავშირის მწერალთა კავშირის პრეზიდიუმი და საქართველოს კომისია მოგესალმებიან თქვენ და მხურვალე გილოცავენ დიდ საყოველთაო - სახალხო დღესასწაულს — საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 20 წლისთავს!

ამ ოცი წლის განმავლობაში ლენინ-სტალინის დიადი და უძლეველი პარტიის ხელმძღვანელობით საქართველომ შესანიშნავ გამარჯვებებს მიაღწია ცხოვრების ყველა დარგში. საძღვლელი ცარიზმის დროს ჩამორჩენილი, უყურადღებოდ მიგდებული ქვეყნიდან იგი ჩვენს დროს გადაიქცა მოწინავე, აყვავებულ ქვეყნად. ჩვენ ვხედავთ საქართველოს ამ უმაგალითო კულტურულ აყვავებას, რომელზეც ოცნებობდნენ და რომლისთვისაც თავდადებულად იბრძოდნენ ქართველი ხალხის საუკეთესო შვილები. რუსი ხალხის საუკეთესო წარმომადგენლები — პუშკინი, გრიბოედოვი, ლერმონტოვი და სხვები ყოველთვის უდიდეს ინტერესს და სიყვარულს იჩენდნენ თქვენი შშვენიერი სამშობლოსადმი. უკრაინის სახელგანთქმულ კობზარ შევჩენკოსაც შეუყვარდა საქართველო, და იგი აკაკი წერეთელს დაუმეგობრდა. შესანიშნავი სიმეხი მწერალი ოვანეს თუმანიანი ყოველთვის უწყვდიდა ძმურ ხელს თქვენი ქვეყნის მწერლებს.

ჩვენ, საბჭოთა მწერლები, ვუფრთხილდებით და მზრუნველობით ვიცავთ ამ წმინდათა-წმინდა ტრადიციებს. ჩვენს დროს ნამდვილი მეგობრობა წინანდებურად სხვადასხვა ეროვნებათა ცალკეული წარმომადგენლების ხვედრს როდი წარმოადგენს; ხალხთა ურყევი მეგობრობა — აი რა აწერია სსრ კავშირის დროშას. ამ მეგობრობას დიდი სტალინის გენია ასულდგმულებს. საქართველოსადმი სიყვარულში ჩვენ არასოდეს არ ვივიწყებთ იმას, რომ მან მოგვცა ჩვენ და მისი ამ მეულ ალიბრობას ეს შესანიშნავი ადამიანი.

გაუმარჯოს სსრ კავშირის საქართველოს!

გაუმარჯოს სსრ კავშირის ხალხთა ძმობას!

გაუმარჯოს ჩვენს საყვარელ სტალინს!

სსრ კავშირის საბჭოთა მწერლების კავშირის პრეზიდიუმი.



დიდი და სერიოზული მონაპოვარი

ირაკლი აბაშიძე

საქ. საბჭოთა მწერლების კავშირის პრეზიდიუმის პ/მ. მდივანი.

ხალხთა სტალინური მეგობრობა — ეს არის ერთიერთი მთავარი და წარმტაცი თემა თანამედროვე საბჭოთა მწერლობისათვის. ის შთაგონებს შემოქმედს ეპოქალურ ტილოებს, რადგან „მეგობრობა სსრ კავშირის ხალხთა შორის — დიდი და სერიოზული მონაპოვარია, ვინაიდან სანამ ეს მეგობრობა არსებობს, ჩვენი ქვეყნის ხალხები თავისუფალი და უძლეველი იქნებიან. არავინ არ არის ჩვენთვის საშიში, არც შინაური და არც გარეშე მტრები, სანამ ეს მეგობრობა ცოცხლობს და დღეგრძელობს“ (ი. სტალინი).

ხალხთა სტალინური მეგობრობა ნათელ გამოხატულებას პოულობს ჩვენი ცხოვრების ყველა სფეროში, კერძოდ ხელოვნებასა და ლიტერატურაში.

მხოლოდ ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ, სტალინური კონსტიტუციის მზის ქვეშ, გახდა შესაძლებელი ის, რომ ჩვენი დიდი სამშობლოს ხალხები გასცნობოდნენ ურთიერთის მდიდარი კულტურული მემკვიდრეობის შესანიშნავ ძეგლებს. ქართველ ხალხს მიეცა ყოველგვარი შესაძლებლობა ეჩვენებინა მთელი მსოფლიოსათვის თავისი მდიდარი კულტურული წარსული; საკმარისია გავიხსენოთ „ვეფხის-ტყაოსანს“ თარგმანები საბჭოთა კავშირის თითქმის ყველა ხალხთა ენებზე. „მხოლოდ ურიკევეი სტალინური მეგობრობის პირობებში გახდა შესაძლებელი სსრ კავშირის ხალხთა ის მჭიდრო კულტურული ურთიერთობა, როდესაც ცალკეულ ხალხთა კულტურის უდიდესი ძეგლები მთელ საბჭოთა ხალხის კუთვნილებად ხდებიან“. (ლ. ბერია).

საბჭოთა კავშირის მასობრივი მკითხველი დღეს უკვე იცნობს ქართული კლასიკური ლიტერატურის ბრწყინვალე წარმომადგენლებს, ასევე იცნობს იგი თანამედროვე საბჭოთა მწერლების საუკეთესო ნიმუშებსაც.

ქართველმა მწერლებმა თავის მხრივ ცოტა როდი გააკეთეს იმისათვის, რომ მიეწოდებინათ ქართველი მკითხველისათვის ჩვენი მოძმე ხალხების კლასიკოსთა და თანამედროვე საბჭოთა მწერლობის თვალსაჩინო ნაწარმოებები. გავიხსენოთ ჩვენი ხალხის ბრწყინვალე ეპოსის „იგორის ლაშქრობის ამბავის“ ქართული თარგმანები, პუშკინის, ლერმონტოვის, ტოლსტოის, გორკის, მაიაკოვსკის, შოლოხოვის, ფადეევის და სხვათა წიგნები ქართულ ენაზე. ტარას შევჩენკოს „კობზარი“, სომხთის ხალხის გმირული ეპოსი „დავით სასუანელი“, ყალმუხეთის „ჯანგარი“, უკრაინული, ბელორუსული, აზერბაიჯანული ლიტერატურის შესანიშნავი ნიმუშები და მრავალი სხვა.

ეს შემოქმედებითი ურთიერთთანაშრომლობა კიდევ უფრო აძლიერებს ხალხთა ერთვეშ სტალინურ მეგობრობას, იგი წარმოადგენს მკვიდრ საფუძველს სოციალისტური კულტურის ახალ წარმატებათა მოსაპოვებლად.

ყოველი ხალხი თავისი ისტორიის მანძილზე ხელოვნებაში ანსახიერებდა და აქსოვდა თავის ეროვნულ მისწრაფებებს, ყველა იმ უკეთეს თვისებას, რომელიც მას გააჩნდა და რომლითაც იგი ამაყობდა. საბჭოთა ხალხი თავის ხელოვნებაში ანსახიერებს და აქსოვს ჩვენი ქვეყნის ხალხთა დიდ სტალინურ მეგობრობას, ჩაეერო. ბელ და მარად ცოცხალ საბჭოთა პატრიოტიზმს. გრძნობას, იმ გრძნობას, რომელიც ასულდგმულებს ყოველ საბჭოთა ადამიანს. ამ დიად გრძნობათა სრულყოფილად გამოხატვისათვის იბრძვიან ამ შუშაობენ ჩვენი ქვეყნის ხალხთა მწერლები.

საბჭოთა მწერლის თემატიური ჰორიზონტი განუსაზღვრელად გაფართოდა. საბჭოთა მწერალი ალარ არის ჩაკეტილი ეთნოგრაფიულ ჩარჩოებში. საბჭოთა მწერალს საყვარელი თემა არა მარტო თავისი რესპუბლიკის, არამედ ჩვენი დიადი საბჭოთა კავშირის ყველა ხალხთა ცხოვრება. საბჭოთა მწერლები თავის მხატვრულ პრაქტიკაში ანსორციელებენ ამ საქმეს. ბელორუსიაში საკმაო პოპულარობით სარგებლობს ბელორუსი მწერალის ე. სამუელიონოკის დიდი რომანი ახალ კოლხიდაზე. მთელ საბჭოთაშია ცნობილი რუსი საბჭოთა მწერლების კ. პაუტოვსკის „კოლხიდა“, ანა ანტონოვსკაიას „დიდი მოურავი“, ნ. ტიხონოვის და მ. ბაკანმა საბჭოთა საქართველოს მიეძღვნეს ლექსების მთელი ციკლი, სადაც გამოხატეს არა მარტო თავისი აღტაცება მზიური საქართველოს პეიზაჟებით და გმირული წარსულით, არამედ უჩვენეს ყველა მკითხველს დღევანდელი ბედნიერი ცხოვრება ქართველი ხალხისა. საქართველოზე სწერენ სომხეთის, აზერბაიჯანის, უკრაინის და სხვა ხალხთა პოეტები. ეს ტონენთისა და ლატვის ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკების მწერლებმა თავისი მხატვრული ჟურნალების სპეციალური ნომრები მიუძღვნეს ორდენოსან საქართველოს. მრავალ ენაზე ყიფრის ალაზეთის სახალხო პოეტის ჯამბულის აღფრთოვანებული სტრიქონები საქართველოზე — დიდი სტალინის სამშობლოზე.

ქართველმა საბჭოთა მწერლებმაც გვიჩვენეს თავის შემოქმედებაში მოძმე ხალხების ცხოვრებისა და ბრძოლის ცალკეული სურათები. როგორც ჩვენმა, ისე ბელორუსიაში საკმაო პოპულარობით სარგებლობენ კ. ლორთქიფანიძის და რ. გვეტაძის ბელორუსული მოთხრობები, სადაც ნაჩვენებია ბელორუსი ხალხის გმირული ბრძოლა სამოქალაქო ომის წლებში, უსხოელ დამპყრობელთა და ინტერვენტთა წინააღმდეგ. ბელორუსიისა და უკრაინის ხალხთა ცხოვრების თემას ეხებიან ნ. მოსაშვილის, რ. გვეტაძის, ა. ქუთათელის და სხვათა ლექსები. აღსანიშნავია კ. ჭიქანაძის პოემა „შუა აზია“,—რომელშიაც პოეტმა საბჭოთა ხალხთა გმირული წარსული და დღეგანდელობა.

ჩვენი მწერლები და პოეტები მხურვალედ ეხმაურებიან მოძმე ხალხების ყველა ახალ წარმატებას კომუნიზმის შენებლობის საქმეში.

ეს საუკეთესო ტრადიცია, რაც შეიქმნა ჩვენს საბჭოთა მწერლობაში ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის მყარ საფუძველზე, გვაძლევს უფლებას ვთქვათ, რომ საბჭოთა მწერლები კიდევ უფრო სრულყოფილად შესძლებენ ხალხთა დიადი სტალინური მეგობრობის ასახვას მხატვრულ სახეებში.

ა. ქორნეიჩუკი

ი. სელვინსკი

ი. კუპალა

მ. ბაჟანი

ჰ. ტიჩინა

მიკოლა ბაჟანი

სჯაღინ

ღვას კაცი კრემლში, სადაც მზეა შუქათ დამდნარი,
კაცი, ძოსილი მეომარის რუხი ფარაჯი,
მისი იერი ყველასათვის ნაცნობი არი.
ყოველ ქოხშია ჩვენი ქვეყნის ფრთხილი დარაჯი.
დღითა და ღამით, ვით ნიშანი და როგორც ხმალი,
რაც ჩვენ გვაერთებს, და გვიზდავს, სახე კეთილი,.
ეს პროფილია იმ ვეკაკცის, მგზნებარე ალით
ალშლილ სივრცეში — ხალხის გულში გამოკვეთილი.
ეკეუანავ! ვრცელი და ფართოა შენი ალაგი,
იქაცვა საქმე, რისიც კი ხარ ფიქრით მოგბარი.
ის ჩვენთანაა, მხარში გვიდგას თვით ამხანაგი,
დიდი ბელადი, ახლოველი და მეგობარი.
გვყავდეს ცოცხალი, იყოს მუდამ იგი ყმაწვილი,
შორს ჩვენ გულიდან სათაკილო შიში და ძრწოლა.
სამშობლოს მივცეთ არა სულის ერთი ნაწილი —
მთელი სიცოცხლე, თავდადებით ვიცოდეთ ბრძოლა.

თარგმნა რაჟდენ გვეტაძემ

იანკა კუპალა

მზიურ საქართველოს

ქართველი ქალი, მზის სხივები და მწვერვალები;
ყურძნის წვენი და განთიადი, დაისის მთვარე,
ბედნიერებით სავსე სახლი, სავსე თვალები,
თითქოს ოცნება გაუშლია ეს არე-მარე.
თაფლს ეზიდება მზრუნველობით ფუტკარი სკაში,
მწყემსი ამღერებს სალამურით ჰანგებს მხიარულს,
ტკბილო ქვეყანა! იალტაზით ასულო ცაში,
გულით ვესწრაფით შენთან მღერას, შენთან სიარულს.
რუსთველთან ოცოცხლობს სიხარდგილე და თვით ზღაპარი,
ყოველ ქოხში და თითოა შორის მიმალულ ხეგში;
ამაზე მღერის ანთებული ცაზე ლაშპარი,
არწივის ფრენა და ტევრებში ზაფხულის თქეში.
გმირულმა ხალხმა გაიარა მთები და ველი,
სამშობლოს ორგულთ დაუნდობლად ებრძოდნენ, ჰგმობდნენ,
და მოიტანა მან რუსთველის სიტყვა და სამქმე
სტალინის სხივით და სახელით ანთებულ დრომდე.
გავიდა ბევრი საუკუნე, წვავ მრავალიც,
ისევ ურყევად იდგომენი, ამაყო ბუდეე;
და საქართველო სამღერების გზით მიმავალი,
როგორც რუსთველი გადალახავს ცამთა სელის ზღუდეს.
მთების ზოაპარი ალერსიეთ არის მზიანი,
შორეთი სხივით და ბინდებით გეხიბლავს ადვილად.
წვიდა ყველგან, სადაც სახლობს ადამიანი,
შოთას ზოაპარი, შოთას ფიქრი და სინამდვილე.
ქართველი ქალი, მზის სხივები და მწვერვალები,
ყურძნის წვენი და განთიადი, დაისის მთვარე,
ბედნიერებით ავსებული ქვეყნის თვალები,
თითქოს ოცნებას გაუშლია ეს არე-მარე.

ბელორუსულიდან თარგმნა მიქელ პატარიძემ

სამედ ვურგუნი

დაუვიწყარი შეხვედრა

(ნაწყვეტი)

დარბაზს ვიუკერი ძვირფასად ნაგებს;
ფიფლავ და სიტყვი დაჭკარგა ბაგემ.
თვალ: ალტაცების ცრემლები ანოს,
აღიერად გულში წერილი ხაზი!
თითქოს ძარღვები გადიქცა ჩანგად
და გაზაფხული ოტკბილეს ჰანგად!
ელოდით სტალინს.. გაიელ კარი,
სოფლის. ქალაქის კაცი და ქალი
შეიპარო სითბემ, ხალისმა ტკბილმა,
თითქოს გაიარა თვალები ფოლად.
— მოდის ბელადი,—ბოლმა გვაცნობა,
მოდის სიკეთე და ვეკაცობა.

თარგმნა მიქელ პატარიძემ

კეტრას ცვირკა

მოხუცი ურნასი

მოხუცი ურნასი იჯდა ახალი ნაძვის სუნით გაღელვებულ ნათელ სახლში. თავისი ეაკიანად და შვილშვილებიანად იგი აქ გუშინ გადმოიყვანა მამელის კომისარმა. სახლი ახალთახლია, ხის იატაკით, სამი ფანჯრითა და დიდი თეთრი ღუმელით. ურნასის ჯალაბი, ეწინდელი ქოხის წყსეს შეჩეფული, ერთბაშად ვერ შეეგუა ახალ გარემოებას: ისინი ჯერ კიდევ წელში მოხრილები დადიოდნენ, თითქოს ეშინოდათ დაბალ ჭერს თავი არ შეეხალოთო, ხოლო ღუმელ რომ დაანთეს, ბოიკეხენ: იქიდან ცვალი არ გამოდიოდა თითბრი.

დილადრიანივე მოხუცი ურნასი მისი ასაკისათვის უჩვეულო მოგზაურობას შეუდგა. ჯოხზე დაბჯენილა სახლს, გარშემო შემოუარა, გულდასმით დაჯოვალიერა საძოვველი, კუთხეები, ხელი მოუსვა კეღლის ძელებს და როდესაც დარწმუნდა, რომ ნამუშევარი ახალია და მტკიცე, კმაყოფილი დაბრუნდა სახლში. ახლა ფართო ფანჯარასთან ისვენებდა და უამბობდა თავისიანებს —წინათ როგორ აშენებდნენ სახლებს და ახლა როგორ აშენებენ. მოხუცი სრულებით ვერ ამჩნევდა, რომ ყურს აღარავინ უგდებდა: მოზრდილები პერის სალეწავად წავიდნენ, პატარები კი მამულში ახლად მატანილი ტრაქტორის სანახავად გაიქცნენ.

და აი ურნასი თავის თავს უამბობდა, ყველად ადამიანები რომგორ ყოველნაირად ცდილობდნენ ეოხის ასაშენებლად ბედნიერი ადგილის გამონახვას, მოხმობდნენ მთელი სოფლე მოხუცებს, ეკითხებოდნენ, რა ადგილია მათ ამა თუ იმ ადგილს, შესახებ. ხერხი მაშინ ჯერ კიდევ არ იყო ხმარებაში: ხეებს ცოლით ჭრიდნენ და ამბობდა: ეს ადგილი ასეთია, ეს ასეთია, ეს ასეთია, ეს

ომი ევროპასა და აფრიკაში

(საომარი მოქმედების დღიური)

როგორც იტალიის ცნობაშია ნათქვამი, ზილანის რაიონში (აბისინია) მომქმედი ინგლისის ჯარი დამარცხებულ იქნა ჩრდილოეთის ფრიკაში და მან. ბომის (რუფოოლეთის ტბის ჩრდილოეთი-დასავლეთით) მიმართულებით დაიხია. ინგლისის ახლო აღმოსავლეთის სარდლობის კომენიქეში ნათქვამია, რომ აბისინიის პარტიზანები კვლავ მოქმედებენ იტალიის ხაგეშაბოვის წინააღმდეგ გოჯამში და ამ რაიონის სამხრეთით.

იტალიის ცნობების თანახმად სომალში მომქმედი იტალიის ჯარი მოგადიშოსაკენ იხევს. როგორც ცნობილია, ინგლისელებმა ოფიციალურად გამოაცხადეს: 25 თებერვალს სოღამოს მოგადიშო აღებეთო. ინგლისის პრესა გაცხოველებით უკეთებს კომენტარებს ამ ქალაქის აღების ამბავს. „დეილი ტელეგრაფ ენდ მორნინგ პოსტი“ წერს, რომ კიბიპიოსა და მოგადიშოს ნავსადგურების აღების შედეგად იტალიელებმა დაჰკარგეს ნავთი, რომელიც ნეიტრალურ გემებს მიჰქონდათ მისთვის. რეიტერის საგენტოს კაირეკი კორეს. პონდენტი იუოობნება, რომ ინგლისის ჯარმა იტალიის სომალის ორი მთავარი ნავსადგური დაკავებით საზღვაო კომუნიკაციებს მოსწყვეტა. იტალიის ჯარი, რომელიც სომალში იმყოფება. გარდა ამისა გადაჭრილია ორი უმნიშვნელოვანესი გზა, რომლებიც მოგადიშოდან დასავლეთის მიმართულებით მიდის ლუგ-ფურანდოსაკენ (აბისინიის საზღვრის მახლობლად) და ჩრდილოეთ მიმართულებით ქალაქ ხარარისაკენ, რომელიც რკინაგზით არის დაკავშირებული ჯიბუტთან (საფრანგეთის სომალი) და ადის-აბებასთან.

ჩრდილეთი აფრიკაში მხოლოდ ავიაცია მოქმედებდა. იტალიის თვითმფრინავებმა, ნათქვამია იტალიის ცნობაში,—უუმბარა დააყარეს და ტყეიამფრქვევი დაუშინეს ინგლისელთა ავტოსატრანსპორტო საშუალებებს და ბანაკს. გერმანიის უუმბარაშენები თავს დაესხნენ ტობრუკს (კირენაიკა).

შესაძლოვად გაცხოველდა საომარი მოქმედება ხმელთაშუა ზღვაში. 26 თებერვალს ნაშუადღეს,—ნათქვამია გერმანიის ცნობაში, — გერმანიის ოჰპაკირე უუმბარაშენებმა დიდმა შეერთებმა, რომლებსაც თან ახლდნენ გერმანიისა და იტალიის ავიაგამანადგურებელები, უუმბარა დააყარეს ალექსანდრიის ეუნძულ მალტაზე. კუნძულზე მოხდა საჭაკნო ბრძოლა, რის შედეგადაც ჩამოგდებულია ინგლისის 6 ავიაგამანადგურებელი. გარდა ამისა, 10 თვითმფრინავი განადგურებულ იქნა მიწაზე. რეიტერის საგენტოს ცნობით, ამ ბრძოლაში ჩამოგდებულია გერმანიისა და იტალიის 9 თვითმფრინავი. გერმანიის ცნობით, ინგლისელებმა ალექსანდრიაზე 7 თვითმფრინავი ესროლეს. ინგლისელებმა ბომბები ესროლეს ბენგაზიზეც. ინგლისელებმა ბომბები ესროლეს ტობრუკზეც